

მწყმესი



მე ვარ მწყმესი კეთილი: მწყმესმან კეთილმან სული თვისი დაჰსდგის ცხოვართთვის. (იოან. 10—11).
 ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწემედელი. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).
 მოვედით ჩემდა ყოველნი მამურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 19 **1883-1891** **1-15** ოქტომბერს.

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი :

«მწყმესი»		«მწყმესი» რუსული გამოცემათ	
12 თვეთი	5 მან.	12 თვეთი	6 მან.
6 —	3 —	6 —	4 —

ფულისა და წერილების გავზავნა შეიძლება ამ ადრესით: *ვხ Кавриани, Въ редакцію „Мижмესი“ и „Пастыр“.*

ყველა სტატიები და კორექსონ დენციები, რომელნიც იქნებოან დასაბეჭდავთ გამოგზავნილი ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილი.
 სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, საში თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარულით უკანვე დაებრუნეს სტატიები მიიღებოან რუსულს ენაზე დაწერილინიც და თარგმნით დაიბეჭდებოან.

სამართველოს კველი ტაძრები და მათი მნიშვნელობა.

მრავალ-ტანჯულს საქართველოში მოიპოვებოან ბევრი ძველი ტაძრები, რომელნიც წარმოგიდგენენ ჩვენი წარსული ცხოვრების ათი-თხუთმეტი საუკუნის უტყუარ და ცოცხალ მათიანეს. ამ ნაშთების თვალთ გვიცქერის ჩვენ წარსული დიდება ჩვენი სამშობლოსი. სწორედ ეს ძველი ტაძრები არიან გამომხატველნი ჩვენი ძველი დიდებისა და აწინდელი ჩვენი უბადრუკობისა. რამდენ რასმე მოავგონებს კაცს მათი შეკმუხნილი, მაგრამ კიდევ შეუშუსვრელი

სახე. ზოგი მათგანი, თუმცა მტრებისაგან იყენენ დამწვარი და დანგრეულინი, მაგრამ კიდევ კარგ ხანს გასძლებდენ სასიქადულოდ ჩვენდა, რომ მათ თეინ მიგვეწოდებინა ხელი შემწეობისა და ცოცხალი მინც გაგვემარებინა მათი დამბუნებული შენობა. მაგრამ ჩვენ არამც თუ არა ფეიქრობდით მათ განახლებაზედ (ენკენიობა), არამედ ხელა უწყობდით იმათ დანგრევას, ვაცლიდით კვლევებიდგან ქვეებს და იმ ქვეებით ორ-სამ სართულიან სახლებს ვაშენებდით. ეამთა ვითარებამ შეიბრალა ჩვენი ძველი ტაძრები, სამუდამოთ არ შემუსრა ივინი, ჩვენ კი შევცებთ მათ ჩვენის მკრეხელის ხელით, დავანგრეით ღვთის

საბძანებლები, რომლებშიაც ლოცულობდნენ წინაპარნი ჩვენი და რომლებშიაც მოიპოვეს მათ საუკუნო განსასვენებელი.

ჩვენი დაუღვერობა ძველი ნაშთების შესახებ იმიტომ ხდება, რომ ჩვენ ჯერეთ კიდევ ვერ შევიგნეთ მათი მნიშვნელობა. ახლის გაკეთება არ შეგვიძლიან და ძველებსაც არ უფრთხილდებით. სხვები ჩვენ მხნე მამა-პაპათაგან აღმართულ ტაძრებზედ სწავლობენ ხუროთ-მოძღვრებას და მათი გვეგებით სარგებლობენ. ჩვენ კი გულ-ხელ დაკრფვლი შევსტყვართ მათ, თითქო ეს შესანიშნავი ნაშთები ჩვენ არ გვეკუთვნოდეს, თითქო სტუმრები ვიყვნეთ ჩვენსავე სამშობლოში! ჩვენი წინაპარნი დიდის თავ-განწირულებით იცადნენ ჩვენ სამშობლოში მამა-პაპურ ნაშთებს, რომ პირ-ნათლად გადმოეცათ ისინი შთამომავლობისათვის; ნეტარება იმათ, რომ აღასრულეს თავისი წმიდა მოვალეობა, — ჩვენ კი ამ მშვიდობიანობის დროს არამც თუ არ ვუფრთხილდებით ამ დიდებულ ნაშთებს, არამედ თავამად ვებდავთ მათ გაცარცვას, შევიწროებას და შეწიკვლას.

ჩვენ ძველ მამა-პაპეულ ნაშთებს აქვს თორნარი მნიშვნელობა: ისტორიული და არქეოლოგიური. როგორც ისტორიული მონუმენტები, იგინი წარმოგვიდგენენ სარკეს, რომელშიაც ცხადათ ვხვდავთ წარსულის დროს, როდესაც საქართველო წარმოადგენდა ერთ დიდ სამხვერპლოს, რომელზედაც XV საუკუნის განმავლობაში თავ-განწირულნი წინაპარნი ჩვენი სწირავდნენ თავიანთ სიცოცხლეს სამშობლოს, ქრისტიანობის და ეროვნების დასაცველად. რამდენ საგულისხმიერო აზრს ჰბადავენ ჩვენში და რაძდენ შესანიშნავ ისტორიულ შემთხვევას მოგვავაძნებენ ეს მოხუცი მოწამენი ჩვენი წარსულისა. როგორ ამხნეებდნენ ეს ძველი ტაძრები ჩვენ ტანჯულ წინა-პართ, რომელთა სახელები არიან ჩაწერილნი საუკუნო მოსახსენებელ წიგნში.

არქეოლოგიურის მხრით ეს ნაშთები შესანიშნავნი არიან თავისებური გვეგებით და განვითარებულ შენობებით. სხვა ქვეყანაში არ მოიპოება იმდენი მშვენიერი და მკვიდრი ნაშთები, რომელნიც მოგვნილია საქართველოს სხვა და-სხვა მივარდნილ კუთხეებში; ბევრი მათგანი ჯერეთ კიდევ არ არიან ცნობილნი. განსაკუთრებით ჩვენი ტაძრების გვეგას, რომელიც მარტივად ჰხატავს ქრისტიანობრივ დიდ იდეას, მოჰყავს მხახველი განცვიფრებაში. წინა

პირველად ჩვენში ქრისტიანობის მიღებისთანავე, გავრცელდა ვიზანტიური გვეგა ეკკლესიურის შენობისა, ეს გვეგა ქართველებმა შეიმუშავეს, თავის ხასიათი მისცეს და ამ ნაირათ შეადგინეს საეკკლესიო არქიტექტურაში ცნობილი იბერიული გვეგა.

გ. საპაგლოვი — ივერიელი.

კიევის და ბალიცის მიტროპოლიტი პლატონი

(ნეკროლოგი.)

1 ამა ოქტომბერს, ექვსი დღის ავად-მყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა კიევის და ბალიცის მიტროპოლიტი პლატონი, შობილგან 89 წლისა. მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პლატონი, ერისკაცობაში ნიკოლოზ ივანეს ძე ბარაღეცი, დაიბადა 1803 წელში. იგი იყო მრევლის მღვდლის შვილი. მამა განსვენებულისა იყო კაცი კეთილი და განათლებული, რისთვისაც ამ სულიერ მწყემსს პატივს სცემდა არა მარტო მისი სამწყსო, არამედ მახლობელი სამრევლოებიც. მ. იოანნეს ჰქავედა ხუთი ვაჟი-შვილი. მათში უფროსი იყო აწ განსვენებული მიტროპოლიტი პლატონი. რვა წლამდის ნიკოლოზი იზრდებოდა მამის სახლში. მშობლებმა ასწავლეს მას კითხვა და გალობა. როცა რვა წლის შესრულდა, ნიკოლოზ გოროდეცი მისცეს სასწავლებლად რევესკის ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებელში. ამ სასწავლებელში სწავლის დამთავრების შემდეგ, ნიკოლოზი, როგორც ერთი საუკეთესო მოწაფე, გაგზავნეს ტყერის სასულიერო სემინარიაში. ტყერში ნიკოლოზ გოროდეცი სცხოვრებდა ერთ თავის ნათესავ მღვდელთან. სემინარიაში სწავლის დამთავრების შემდეგ ნიკოლოზი, როგორც საუკეთესო ნიჭიერი და შრომის მოყვარე სტუდენტი გაგზავნილ იქნა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. აქ სწავლა დაამთავრა მან 1827 წელში ლეთისმეტყველების მაღისტრის ხარისხით. აკადემიაში სწავლის დამთავრების შემდეგ ნიკოლოზ გოროდეცი, 7 სექტემბერს 1827 წ. დაინიშნა ორლოვის სემინარიის მასწავლებლად, ხოლო 27 ოქტომბერს 1829 წელსა იგი გადაუვანილ იქნა პეტერბურგის აკადემიაში. ორლოვის სემინარიაში ნიკოლოზ გორ-

დევცი ასწავლიდა ფიზიკას, მათემატიკას და ბერძნულ ენას. ამავე სემინარიაში ასწავლიდა ის ფრანგულ ენას. ამავე დროს ნიკოლოზ გორდევცი ასრულებდა სემინარიის რჩევის სეკრეტარის თანამდებობას და სემინარიის ინსპექტორის მოვალეობას. პეტერბურგის აკადემიაში ნიკოლოზი პირველად დაინიშნა ბაკალავრის თანამდებობაზე და ასწავლიდა ბერძნულ ენას, შემდეგ კი ასწავლიდა ზნეობითი ლეთის-მეტყველებას. ამ საგნის შესახებ მასმა ლექციებმა მიუქცია ყველას ყურადღება: მან პირველად შემოაღო ამ საგნის რუსულს ენაზე კითხვა. მანვე შეიქმნა მის დრომდე სრულებით მივიწყებული საგანი რუსის მწვალელების შესახებ.

1830 წელში ნ. ი. გორდევცი აღიკვეცა ბერად. მას თავ-და-პირველადვე ჰქონდა სურვალი ბერად აღკვეცისა. ბერად აღკვეცულ იქნა ნიკოლოზი ალექსანდრო-ნეველის მონასტერში 17 მაისს, 1830 წ. და სახელად ეწოდა პლატონი; 26 მაისს ამავე წელს ბერ-მონაზონი პლატონი დაინიშნა ამავე მონასტრის მღვდელ-მონაზვნად. 6 ნოემბერს 1831 წ. პლატონი დაინიშნა პეტერბურგის აკადემიის ინსპექტორად და აყვანილ იქმნა არქიმანდრიტის ხარისხზე. აკადემიაში არქიმ. პლატონი ასრულებდა სხვა მოვალეობასაც: იგი იყო გამგე წინგთ-საცავისა, საპართეელს და სასულიერო საცენზურო კამიტეტის წევრად და ამავე დროს მისი რედაქტორობით იცემოდა «Хрис. Чтенія». პეტერბურგში განსვენებულმა პლატონმა გამოიჩინა მკვერ-მეტყველური ნიჭი. ამ ნიჭის წყალობით პლატონმა მიუქცია ყველას ყურადღება, როგორც შესანიშნავმა მქადაგებელმა. 1831 წელში პლატონმა წარმოასთქვა ქადაგება ხოლერის შესახებ, რომელიც მიმდინარეობდა პეტერბურგში. ამ ქადაგებამ ძლიერ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე, ასე რომ მთელს სატახტო ქალაქში ყველა ამ ქადაგებაზე ლაპარაკობდა. ბოლოს ეს ქადაგება მოითხოვა ხელმწიფე იმპერატორმა ნიკოლოზ პავლეს ძემ მიტროპოლიტი სერაფიმის ხელით. ხელმწიფემ ქადაგების წაკითხვის შემდეგ, ბრძანა: «ყურადღება ექნეს მიტყეული ამ ახალ-ვაზრდა მქადაგებელს.» ამის გამო არქიმანდრიტი პლატონი ისევ პეტერბურგში დარჩა და აღარ გაუზავენიათ არხანგელსკში, სადაც გადაწყვეტილი იყო მისი გაგზავნა სემინარიის ინსპექტორად. 1837 წელში არქიმანდრიტი პლატონი დაინიშნა

კოსტრომის სემინარიის რექტორად და ამ თანამდებობაზედ დარჩა აპრილის თვემდის 1839 წლისა.

28 აპრილს 1839 წელსა არქიმანდრიტი პლატონი დაინიშნა ვილნოში წმიდა სასულიერო მონასტრის წინამძღვრად. ლიტოვის მიტროპოლიტის იოსებ სიმასკოს თხოვნით არქიმ. პლატონი დაინიშნა კოვენსკის ეპისკოპოსად, ლიტოვის ეპარქიის მეორე ეპარქად. ამ ახალს თანამდებობაში ყოველად სამღვდლო პლატონმა თავი გამოიჩინა თავისი ნიჭით. იგი იყო მახლობელი თანამემწე მიტროპოლიტ იოსებ სიმასკოსი და ამავე დროს მათმა მეუფებამ დიდი სამსახური გაუწია ეკკლესიას და რუსეთს დასავლეთ რუსეთში და სამღვდლოვნას.

1848 წელში, 6 ნოემბერს ეპისკოპოსი პლატონი დაინიშნა პსკოვის ეპარქიის ეკარ ეპისკოპოსად. 1849 წ. იგი დროებით მმართველად პსკოვის ეპარქიას 1856 წლამდე.

1856 წელში, 11 მარტს პსკოვის ეპარქიაში დაარსდა დამოუკიდებელი ეპარქია რიჟსკისა. ამ ეპარქიის ეპისკოპოსად დაინიშნა პლატონი. ამავე წელში ყოველად სამღვდლო პლატონი დაინიშნა მთავარ ეპისკოპოსად. 18 წლის განმავლობაში მთავარ ეპისკოპოსი პლატონი სწორედ მამაშვილურ სამსახურს უწევდა თავის ეპარქიის მკვიდრთ. მათი მეუფება იყო ბრძენი და ერთგული მკველი ხალხობის, სარწმუნოების და სახელმწიფო ინტერესების: იგი იყო მღვდელ-მთავარიც, სახელმწიფო კაციც და მოღვაწეც. მთავარ-ეპისკოპოსის პლატონის მეცადინეობით 1851 წელში რიგაში დაარსებულ იქნა სასულიერო სემინარია. მწყემს-მთავრის მეცადინეობით მისდამი რწმუნებულს ეპარქიაში დაარსდა საეკლესიო-სამრევლო სკოლები, რომლებშიაც სწავლების საქმე ძალიან წარმატებით მიდიოდა. 1867 წ. რიგის ეპარქიაში იყო 107 საეკლესიო-სამრევლო სკოლა და პირველ-დაწყებითი 257, ამ სკოლებში სწავლობდა 9,500 ყმაწვილი. მიტროპოლიტის პლატონის მწყემს-მთავრულ მოღვაწეობას თვალსაჩინოდ ამტკიცებს ოსტრევის მხარეში მართლ-მადიდებელ პირთა გამრავ-

ლება: 1848 წელში, როცა მათი მეუფება დაინიშნა რიჟის ეპარქიის ეპარქისკოპოსად, აქ იყო 138,416 მართლ-მადიდებელი სული; 1866 წ. როცა მათმა მეუფებამ დასტოვა ეს ეპარქია, მართლ-მადიდებელთა რიცხვი იყო 180,846 სული; ე. ი. 40,000 კაცითმეტი. გარდა ამისა მათმა მეუფებამ მოაქცია მწვალებლობისაგან 2400 სული.

1867 წელში, 9 მარტს მწყემს-მთავარი პლატონი გადაყენილ იქმნა ნოვოჩერკასკში, დონის მთავარ-ეპისკოპოსის კათედრაზე. მწყემს-მთავარი აქ დარჩა 1877 წლამდე. ამ ეპარქიაში მყოფობის დროს მალალ ყოველად უსამღვდელოებსა პლატონმა დიდა ყურადღება მიჰქცია ახალი ტაძრების აშენების საქმეს, სამღვდელოების განათლებას და ამ სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას. მან გაამრავლა სკოლები და ყველაზე შესანიშნავი ის არის, რომ მათმა სეუფებამ მოაქცია მართლ-მადიდებელ სარუმუნოებაზე კალმიკები და მწვალებლები.

1877 წელს, 25 აპრილს მთავარ-ეპისკოპოსი პლატონი დაინიშნა ხერსონში. ამ ეპარქიაში დარჩა მათი მეუფება სულ ხუთი წელიწადი. მათი მეუფების მზრუნველობით ოდესაში, სხვათა შორის, დაარსდა ძმობა წმ. მოციქულის პნდრია პირველ წოდებულის სახელზედ. ამ ძმობის დანიშნულება მდგომარეობდა მასში, რომ მას დაეფარა მართლ-მადიდებელნი სხვა-და-სხვა მწვალებლობისაგან. ამ ძმობის სათანხო ფულად მათმა მეუფებამ შეიტანა 1000 მანეთი. ოდესაში მათმა მეუფებამ 1877 წელში იღვრისასწაულა თავისი ორმოც-და-ათი წლის სამსახური.

1882 წელსა, 6 თებერვალს მალალ ყოველად უსამღვდელოების პლატონი დაინიშნა კიევის და გალიციის მიტროპოლიტად, სადაც მსახურებდა მათი მეუფება თავის სიცოცხლის უკანასკნელ ჟამამდე.

მიტროპოლიტი პლატონი დაჯილდოებული იყო უმაღლესი ორდენებითა. მათი მეუფება ითვლებოდა ბევრ დაწესებულებათა და საზოგადოების წევრად, მათ რიცხვში მიტროპოლიტი პლატონი იყო წევრი წმ. ელადიმირის საიმპერატორო უნივერსიტეტისა და კიევის სასულიერო აკადემიისა.

პ არჩის ახლად აღშენებული ეკლესია ძრისტას გულის სახელზედ.

წელს პარიჟში მოათავეს და აკურთხეს ერთი ტაძარი იესო ძრისტეს გულის, ანუ სახიერების სადიდებლად. ამ ტაძრის აღშენების მოთავეობა ეკუთვნის პარიჟის აწ უკვე განსვენებულს მთავარ-ეპისკოპოსს ლიბერს, რომელმანც 1873 წელში გამოიხზოვა ნება-რთვა ტაძრის აშენებისა ფრანგების ნემტოვან განთავისუფლების სახსოვრად. ამ ტაძრის საძირკველი ჩაჰყარეს 1875 წელში. ამ ეკლესიის აღშენების წინააღმდეგი იყო საფრანგეთის უმაღლესი მთავრობა და განსაკუთრებით პარიჟის ქალაქის რჩევა, რომლის ხმოსანთა შორის მრავალია ურწმუნონი. მაგრამ ღვთის მორწმუნე ზოგიერთი ფრანგების მცადანებობით, რომელნიც ჯერ კიდევ უმეტესობას შეადგენენ და მრავალ შეწირულებათა მეოხებით საკმე სანატრელად დაგვირგვინდა. ამ ტაძრის სასარგებლოდ შეიკრება რვა მილიონი მანათი.

სხენებული ტაძარი არის აღშენებული რუსეთის ტაძრების მსგავსად: ოთხ-კუთხიანი სამრეკლო ბიზანტიური გუმბათით წინ აქვს მიდგმული ტაძარს, ხოლო ტაძრის უკან ამაღლებულია ვებერთელა ბიზანტიური გუმბათი თვითონ ტაძრისა. ეს დიდი გუმბათი შემოჭლულულია ოთხი პატარა გუმბათით.

ეს ტაძარი მთლად შეწირული ფულებით არის აღშენებული, მაგრამ აქ ეს კი არ არის შესანიშნავი, არამედ შესანიშნავია თვით შეწირულებათა შეკრება. ტაძრის აღმაშენებლებმა, მინამ შენებას დაიწყებდენ, ტაძრის თვითოეული ნაწილი გასცეს. შემწირველთ გამოცხადებული ჰქონდათ, რომ ტაძრის იმ ნაწილზე, რომელიც შეწირულებათა მეოხებით აღშენდება, დაწერილი იქნება შემწირველთა სახელებიო. ამიტომ სხვა-და-სხვა დაწესებულებანი, როგორც სასულიერო წოდებისანი, ისე საეროანი სწირავდენ ტაძრის სხვა-და-სხვა ნაწილებს; ზოგიერთებმა შესწირეს სვეტები, ზოგმა თალი, ზოგმა მგალობელთა მთელი დასადგომი, ერთი სიტყვით, ყველანი სწირავდენ თავის შეძლებისა და გვარად. მართი სვეტი შესწირეს თამბაქოს მწვეველებმა, რომელნიც ჭეშმარიტად ინანებენ თავიანთ ცუდ ჩვეულებას. მართი სვეტი აავცეს ქალებმა, რომელთაც ამ სვეტისათვის საჭირო ფულები შეუკრებიათ თავიანთ

ნახელსაქმებით. მრთი სეგეტი გაუკეთებიათ საცოლო ახალგაზღდებს, ერთი სეგეტი დრო გადასულ საცოლო კაცებსა, თალი გაუკეთებიათ ქერიებს. ამას გარდა, კერძო პირთ მოუპოვებიათ და შეუწირავთ ქვები, რომლებითაც აღშენებულთა ტაძარი. ამ შემოხვევაში შემწირველის სახელი ამოჭრილია ქვის წინა პირზე. ქვები არის ორ ნაირი სიდიდისა: არიან ისეთი ქვები, რომელთაგან თითო ღირს 300 და 1300 ფრანკი. ტაძრის მშენებელთ გამოუგონიათ ერთგვარი მსხვილი ქაღალდები. თითოეული ეს ქაღალდი დაყოფილია 1200 ოთხ-კუთხ ხაზებად. თითო ხაზი ღირს სამ კაპეკ ნახევარი. მსურველს ნება ჰქონდათ თავისი სახელი ჩაეწერა რომელიმე ხაზში და გადაეხადა სამ კაპეკ ნახევარი. როცა ყველა ხაზები გაიხსებოდა სახელებით, ერთი ქვის ფასი უკვე იკრიბებოდა. ამის შემდეგ ამ ქაღალდს შეხვედნენ, ჩასდებდნენ ჭიქის სქელს მიღში, რომელსაც სდებენ ქვების გამოჭრილში. რადგან ასე ადვილი იყო ხელის მოწერა, ამიტომაც შეიკრიბა ამდენი შეწირულება ამ ტაძრის სასარგებლოდ.

შეიძლება თუ არა დავძრახოთ აღმშენებელნი იმისათვის, რომ მათ თითოეული ნაწილი ტაძრისა გაჰყიდეს, ხოლო შემწირველთ უსაყვედუროთ, რომ მათ ეს ტაძარი ნაწილ-ნაწილ შეიყიდეს? შეიძლება თუ არა ვაფუგოთ შემწირველთა სურვილი, რომ მათი სახელი სამუდამოდ იყოს დაცული იმ ტაძარში, სადაც იღიდება ყოვლად წმიდა სახელი ღვთისა? ჭოველი კაცი ცდილობს თავის სახელი საუკუნოდ დაუვიწყარი დასტოვოს ქვეყანაზე. მაგრამ საფრანგეთის ხალხი წინააღმდეგია რუსეთის მართლ-მადიდებელი ხალხის ჩვეულებებისა, რომელსაც ჩვეულებად აქვს შესწიროს რამე ტაძარს თავისი სახელის ერთ დროებითი ანუ საუკუნო მოსახსენებლად. მაგრამ ეკლესიური მოხსენება იმითამ კი არ არის დაწესებული, რომ კაცის სახელი ხალხის სანახსოვროდ დარჩეს. არამედ ეს არის ლოცვა, რომელმაც უნდა მიანიჭოს მადლი ღვთისა მათ, რომელთაც ამ ლოცვაში იხსენიებენ: უფრო ძლიერია ეს ლოცვა მაშინ,

როცა ასეთი ევდრება სრულდება უსისხლო მსხვერპლის შეწირვის დროს, როცა გამოითხოვება ღვთისაგან მადლი მთელი ქვეყნისათვის. რასასარგებლოა, როცა კაცის უბრალო სახელი რჩება სანახსოვროდ, როდესაც კაცის უმათერესი არსების ნაწილი არის სული და არა სახელი. ძაცისათვის საშიში უნდა იყოს არა სახელის დაკარგვა, არამედ სულისა. თუ რამოდენად სასიამოვნოა ღვთისათვის, როცა კაცი ცდილობს თავისი სახელის დაუვიწყრად დატოვებას ქვეყანაზე, ეს ცხადია არის გამოხატული «დაბადებაში», რომელშიაც მოხსენებულნი არიან ბაბილონის გოდოლის მშენებელთა სურვილი, რათა სამუდამო მოსახსენებლად დაეტოვებიათ თავისი სახელი? ასეთი სურვილი არ ეთანხმება ჭეშმარიტ სარწმუნოებას; სარწმუნოება ითხოვს, რომ კაცმა თავის სახელი დაუვიწყარი გახადოს არა თავისი ძალადობით, არამედ თავისი კეთილი და ღვთის სასიამოვნო საქმეებით. ძაცისათვის ის კი არაა საჭირო, რომ ის ხალხმა არ დაივიწყოს, არამედ ის, რომ ღმერთმა არ მოაკლოს მას თავისი ღვთაებრივი მადლი, ამიტომ იმას კი არ უნდა ეცდილობდეთ ჩვენ, რომ ჩვენი სახელები დაიწეროს ქვებზე, ან შენახულნი იქმნან შუშის მიღებში, არამედ უნდა ეზრუნავდეთ, რომ ჩვენი სახელი ლოცვაში იხსენიებოდეს ღვთის ტრაპეზის წინაშე, რომ ამით მოვიპოვოთ ღვთის მადლი, რომლის მოვლინებას ევდრებოდა ღმერთს ავაზაკი და იტყოდა: «მომიხსენე მე უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა».

როგორც ამ მაგალითისაგან, ისე მრავალი მაგალითებისაგან სჩანს, რომ მართლ-მადიდებელი ეკლესიის ჩვეულებას აქვს საფუძველი, როცა იხსენიებს ლოცვის დროს გარდაცვალებულთა სახელებს და ეს საფუძველი გამოწვეულია კაცის სულის მოთხოვნილებათაგან, რომელსაც ნამდვილად სწამს, ცხადია და მართლად ესმის, რაც ნამდვილად საჭიროა მისი სულისათვის და ცდილობს, რომ თავის სარწმუნოება წმიდად დაიცვას. მინ არის მისი წინააღმდეგი, რომ ტაძრისათვის საჭიროა შეწირულება-

ნი? რა არის ურიგო, როცა შემწირველი ცდილობს, რომ მისი სახელი იხსენებოდეს ტაძარში ღვთის-მსახურების დროს? ბანა ყოველი ქრისტიანისათვის აუცილებლად საჭირო არ არის, რომ მისი სახელი იხსენებოდეს ტაძარში წმიდა ტრაპეზის წინაშე, რომელზედაც სრულდება უუწმიდესი უსისხლო მსხვერპლი?

ალ. ყაზბეგის (მოჩხუბარიძის) შესახებ.

(წერილი რედაქციისადმი).

საკვირველს ხასიათს იჩენს ჩვენი საზოგადოება: მინამ არ მოკვდება ჩვენი საზოგადო მოღვაწე, ჩვენის ლიტერატურის ასპარეზზე მშრომელი, მინამ, რაც უნდა ღღე ადგეს, რაც უნდა გაჭირვებაში იყოს, კაცი არა ჰყავს ყურის მგდებელი, გულის შემბატყიარი. როდესაც საცოდავ იოსებ დავითაშვილივით საღმე ჯურღმულში სიმშილი სულის არ ამოართმევს, მაშინ დაედგებით მათს საფლავზედ და მოვთქვამთ მწარედ და ექვეითნებთ, და თვით იგინივე, ვინც უკანასკნელი ლუკმა გამოაცალა პირიდან, ხწირავენ ფულს ძეგლის ასაგებად.

მინ არ იცის, რომ ჩვენი სასახელო, ჩვენი უნიკიერესი ბელეტრისტი, ალექსანდრე ყაზბეგი (მოჩხუბარიძე) იმყოფება დღეს საავათმყოფოში, ჩავარდნილი თითქმის სრულს უგონობაში. კაცმა, რომელმაც ამოდენა ამაგი და ღვაწლი დასდო ქართულს მწერლობას, რომელმაც საოცარი მხატვრობით, ჩვენში უმაგალითო დაკვირვებით, შემჩნევით და გამოკვლევით დაგვანახვა ჩვენი ხალხის გული, ჩვეულება, ადათი, კანონი, წესი, აქამდის ხელ შეუხებელი და სრულიად ჩვენგანთა შეუნიშნავი სოციალური წყობილებანი; რომელმაც დიდებული მხატვრობანი შეამკო დიდებულის მაღლის აზრებით და შემოსა დიდებულისავე იღებით, — დღეს ეს კაცი არის დარჩენილი მარტო იმ ულუფის ამარა, რომელიც ეძლევა საავათმყოფოდან. არც მნახველი, არც

გროშის მიმწოდებელი, რომ თამბაქო მაინც იყიდოს, რომელიც მარტო-ლა დარჩენია გასართობათ და თავისი ჩამქრალის სიცოცხლის მოსანელებლად, რომ დაჩეულება კაცმა, ჩაი მაინც დალიოს, — საავადმყოფოს მოხელეთა თქმით, ამას არა ჰყავს...

ნუ თუ აქამდისაც მივედით!

და ვინ იცის, რამდენსა აქვს რეჩი დამზადებული, რომ წარმოსთქვას სახელგანთის მწერლის საფლავზედ, რამდენი ამზადებს დაფნის გვირგვინს! ერთის დაფნის გვირგვინის ჩაი-შაქარი და თამბაქო სრულიად ეყოფოდა ამას თავის მოსწრაფებულის სიკვდილის დღემდის («ივერია»).

ამავე გაზეთში ვკითხულობთ: ჩვენ მივიღეთ «ქართულ წიგნების ბეჭედის ამხანაგობის» გამგეობისაგან შემდგევი წერილი შესახებ ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა): «მკითხველებმა უკვე იციან, რომ ჩვენი დავუვიწყარი მწერალი ალ. ყაზბეგი (მოჩხუბარიძე) სულით ავადმყოფთა სამკურნალოშია. ფრიად სასიამოვნოა, რომ ქართველმა საზოგადოებამ ახლა მაინც ყურადღება მიაპრო ქართველ მწერლის მდგომარეობას და არ მისცა დავიწყებას ისე, როგორც წარსულში სხვები. რაკი ყველასათვის საინტერესოა გაიგოს «ელგუჯისა», «მოძღვარისა» და სხვა მოთხრობების ავტორის მდგომარეობა, ჩვენ შეგვიძლიან ამის შესახებ ვსთქვათ შემდგევი: ამხანაგობის გამგეობამ, გაიგო-რა ალ. ყაზბეგის საავადმყოფოში წაყვანა, აცნობა იქაურს ზედამხედველს ბ. ნ. კახეთელიძეს ვინაობა ყაზბეგისა. ჩვენდა სასიამოვნოდ გავიგეთ, რომ თვითონ ბ. ნ. კახეთელიძე იცნობდა და მაშასადამე უყურადღებოდ არ დასტოვებდა და, როგორც აღმოჩნდა, არც დაუტოვებია. მიუხედავად ამისა, 2 აგვისტოს ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარემ მისწერა ბ. ნ. კახეთელიძეს, წევრს ამხანაგობისას, შემდგევი წერილი: «...უმორჩილესად გთხოვთ თქვენ, როგორც ამხანაგობის წევრს, რიგიანი ყურადღება იქონიოთ ბ. ნ. ყაზბეგზე და მიაწოდოთ, რაც საჭირო იქმნას მაგისათვის და რაც საავადმყოფოს გამგეობ-საგან არ

ედლეოდეს... კარგი იქმნება გამგეობას კვირაში ერთხელ შეატყობინებდეთ ხოლმე მაგის მდგომარეობას...“

ბ-ნი ყაზბეგს ჭამასმა რიგანი აქვს: დილით ეძლევა ჩაი, შაქარ-ჩაყრლი თეთრის პური; სადილად ორ-ნაირი საქმელი (წვნიანი და შემწვარი) და, თუ მოითხოვს, მესამესაც ტკბილ საქმელს აძლევენ. ერთმა გამგეობის წევრთაგანმა ორ-ჯერ ჰნახა იქაური საქმელი და აღმოჩნდა, რომ რიგიანად, სუფთად არის მომზადებული, ზოგიერთს რიგიანს რესტორანებში მომზადებულზე კარგად. ხოლო საღამოობით აძლევს ბ-ნი კანთელიძე ჩაის, თამბაქოს და პაპიროსს, რამდენიც საჭიროა; ხან-და ხან ხილსაც. ბ-ნი ყაზბეგი ჯანზე კარგად არის, მადა კარგი აქვს, მხოლოდ სულის ავადმყოფობასთან ენის სიმდაბლე აქვს. იმას ენატრება ნაცნობების ნახვა. ეინც მისი მეგობრები ყოფილან და შეუძლიანთ ამ გეგრის ავადმყოფების ნახვა, დიდად ასიამოვნებენ, თუ ჰნახებენ. ბ-ნი ყაზბეგი სჩივის მეგობრების მიერ დავიწყებას.)

(იქნა)

ს ა ი ს ტ ო რ ი ო მ ა ს ა ლ ა .

გუჯრები

(დასასრულა *).

სითარხნის გუჯარი.

1798 წ. ქ. ჩვენ მაგიერად მოურავს ფრიდონს ჰანდიერის შეილს ასე ეუწყოს. მერე ამ არზის პატრონი, რადგან ამისთანა ღარიბი და შეუძლებელი ხიზანი კაცი არის იმას ხარჯსა გამოსაღებსა ბეგარას და ჯარში ნუ გარეე, რადგან სნეული არს და ნურას სთხოვთ და ნურცა რას გამოართმევთ. ივლისის კა ქორონიკონს შ.პ.მ. (ბეჭედი).

სითარხნის გუჯარი.

1751 ქ. ესე: წყალობის: წიგნი: დაგიწერეთ: და: გიბოძეთ: ჩვენ: პატრონმან: ერისთავთ: ერისთავმან: შანშემა: და: ამისწულმა: ჩვენმან: დავითმა:

*) იხ. «მწეგმისი» № 18, 1891 წ.

გოგამა: შენ: იქეთეს: ბეროშვილებს: თუომანს: ქოქოსა: და: ბოხოს: და: მეზობელსა: შენსა: ჩოფანშვილას: ბათირსა: გორსა: და: ქუჯასა: ასრე: რომე: თაობით: იქეთეს: მამულს: თქვენ: გეჭირათ: და: ნარიშამ: ქრთამი: მოგვართვა: და: ნარშას: უბოძეთ: მერმე: ხატის: მამული: ყაფლოც: იკითხეთ: და: ხატის: ყმანი: ყოფილხართ: ახლა: ნარშასა: თავისი: ქრთამი: ისრეე: უბოძეთ: და: შენ: ქრთამიც: გამოგართვით: და: ისრეე: თქვენ: თავს: წყალობა: გვიქნია: და: იქიეც: თქვენი: უწინდელი: აქეთის: გაღმა: მამული: ახლები: ხატის: ყმანი: ყოფილხართ: და: ისრეე: ხატის: ყმანი: იყავით: ღმერთმა: მოგცეს: და: გიბედნიეროს: ქრისტემ: აქ: ჩ: ღ: მწ: ქეს: ულთ: 1).

1797 წ. ქ. ღმერთმან საქართველოს ხემწიფის ჭირი მომცეს ვანთას მყოფს მახარებელს. ჩემო ხემწიფე იმერეთილამ გადმოვარდი, შეიდი წელიწადია ფხოველში ვახლდი და შეიდი წელიწადი, რომ აქა ვანთას ვახლავარ იმერეთილამ ჩემი ნაბატონევი გადმოვიდა, ქრთამი დახარჯა და ორი ვაჟი და ერთი ქალი ჩემი შეილები დამტაცეს ისაულებმა და მიმიცეს იმ ჩემმა ნაბატონემა იმერეთს გარდასხა. ჩემი მეუღლე იმაზედ ავად ვახდა, ასე მოთხრა, თუ შეილებს არა ენახავ მოგვედებო, წაველი იმერეთს იმათი მოპარვა დაეპირე შემიტყეს და მეც დამიჭირეს, გაყიდვას მიპირებდენ გამოვეპარე. აქ რომ გიხვდებოდნენ შეილებს ჯავრით ცოლი მომიკვდა ერთი ქალი დამჩხა ვართ ორნი ხელნი ჩვენი სარჩო და ქონება შენს მზეს ვფიცავ ერთი დღის ყანა არის ისიც ტყისა რომ ნახევარ დღის სავალი არის ის ჩემი ქალიც ექვსის წლისა არის, მე სხვა რიგად სნეული ვახლავართ გვეედრებით თქვენდა ასამაღლებლად რომ ბეგარილამ, ხარჯილამ და ჯარიდან გამომთარხნოთ გამამთავისუფლოთ ივლისის კა ქორონიკონს უპე 2).

1) საუფრადღებოა ფეოდალიზმის შესასწავლად, სითარხნის წიგნია.

2) ეს წერილი კარგად ასახულებს, რანდრ მდგომარეობაში იყო საბატონო გლეხი.

ნასყიდობისა.

1688 წ... მარად ქალწულთა მარიათა ზე-
 ცისა ძალთა ანგელოზთა მოწმობითა წმინდისა ათ-
 თორმეტთა მოციქულთა პეტრე და პავლესითა მოწმობითა წმ. იოანენე ოქროპირისათა... წმ. გორის წმ. გიორგისა... ოქონის ხატის მოწმობითა... ნასყიდობის წიგნი მოგეც მე ტანისხილემან ჩემან თამაზამან შეილმან ჩემან ნი (კალოზხან?) შენ ვანთელსა აღუას შეილსა ჩემსა დისწულსა თევდორესა დაგვეჭირა მოგყიდეთ ტინის ხიდის ნატყევიდე გემანის მიწის მადგომამდინ მოგყიდე ქონდეს და გიბედ (იეროს?) ღმთმა როგორც მრავალ ალაღსა ნასყიდსა მართებულს... რამანელ გვარმან კაცმან ანუ სხუამან კაცმან... შემოგეცილოს თავად რისხავს ღმერთი ყოველნი მისნი ანგელოზნი... არიან ამისნი მოწამენი ნონიკა მოგონასშვილი, მე შერმასუნ დამიწერია მოწამეცა ვარ—ქკს ტოვ, მარტს ე. 3).

ნასყიდობა.

1737 წ. ნებითა და შეწყენითა მღვთისათა ესე ამიერიტვან ჭამთა და ხანთა გასათავებელათ ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეცი მე კერხაძემ გიორგიმ შეილმა მამკლამ (?) სახლის კაცმა შენ ბალის შეილს კაციას და ძმასა შენსას გიორგასა ბერიძეს და ბერჯასა შეილსა შენსას დავითსა შენს ჩამომავალსა ასე რომა დამეჭირა და მოგყიდე ჩემი ალალი ნასყიდი ვენახი საბუნქროთა დინრიძის მიღგომამდინ ბოლოს ბრმაშვილის ვენახის მიღგომამდის ზეითა ბრმადინ თვისი წყლითა ავიდე ფასი სრული რითაც ჩემი გული შეგეჯერდებოდა მოგეცა და მოგიბედნაეროს ღმერთმა როგორც სხვას მონასყიდეს ქონოდეს ან ქონდეს მოგეცი. ვინც ეს ჩემი მიცემული მოშალოს თითონაც შეიშლებთ თვისი სახილამ მას რის ხამს იესო ქრისტე. თავათ არის ამის მოწამე ღმერთი მერე გორელი ჯულაბაშვილი მანუჩარა დევიძე ნასყიდ კაციაშვილი დემეტრე ევეშინიანი ავთანდილა მე ლომინაშვილს დამიწერია და მოწამეცა ვარ. ქკს. უკე.

3) ნატყევიდე, ე. ი. ნატყევიდან.

მე ჯულაბაანთ გიორგის შველი მანუჩარ ამას მოწამე ვარ 4).

ნასყიდობისა.

1645 წ. ნებითა ღვთისათა მამისა ძისათა სულისა წმიდისათა ყოვლა წმინდისა ღვთის მშობლისა მარადის ქალწულთა მარიათა თავებობითა შუამდგომლობითა ზეცისა ძალთა ანგელოზთა, მთავარ ანგელოზთა მიქელ გაბრიელისა მთავარ ანგელოზის მოწმობითა შუამდგომლობითა წმინდისა გიორგისა გარიჯურის მოწმობითა შუამდგომლობითა წმინდისა ესტატისა მოწმობითა შუამდგომლობითა წმინდისა ოქონისა მოწმობითა წმინდისა იოვან მახარებელსა წმინდისა იოვანე ოქროპირისა წმინდისა იოვანე ნათლის მცემელისა მოწმობითა შუამდგომლობითა თორმეტთა მოციქულთა პეტრესითა და პავლესითა წმინდანი რანიც სუნაქარშიგან წმინდანი მოახსენებთან მათსა მოწმობითა შუამდგომლობითა ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეცი მე ჩვენ საკასშვილის შეილმა აკას შეილმან საკამან და ჰანამან თქვენ ტერ-გრიქოლას შვილის შვილსა ოსკანას შეილსა ტერ დავითსა შველთა შენთა ოსკანასა გრიქორასა სახლისა მამავალსა შენისათა დაკვეჭირა მოგყიდეთ თავაქალაშვილისეყული სახლ-კარი ერთი გვერდი ერყოდასშვილის სახლის გვერდი ერთი გვერდი ბასტამასშვილის სახლის გვერდი ქვემო გზამდინ ზემო შენის მიდგომამდინ ავალეთ ფასი რითაც ჩემი გული შეგეჯერდებოდა ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან როგორაც მრავალსა ალაღსა ნასყიდსა მამულითა მართებულს ხელ გეწეჯიჯი გასყიდვით საწოდრათ რითაც ფურათ გინდოდეს მცალე არაინა ყვანდეს თენიერი ერთისა ღვთისა მეტა, რამაც კაცმან ესე ჩემგან მოცემული წიგნი შევიშალოს რისხავს თავადი ღმერთი ყოველნი მისნი წმინდანი ზეცისა და ქვეყანისანი ვინცა ეღების შიშოთული იყიდისა ძწოლოა კენისა ნუშცა იხსენების სული მისი ჯოჯოხეთისაგან ამან და კიადესიონ არიან ამისნი მოწამენი თავად ღმერთი ყოველნი მისნი წმინდანი კაცთაგან ბატონი თუმანის შვილი მთავარ

4) ეს სიგელი ასო ნაკლულად არის დაწერილი. საშავალითოდ მოვიყვან დასაწეისს... უმთა და სნთა გასთავებულათა ნსყიდობას...

ეპისკოპოსი ფარსკლ მისი ძმისწული თუმან გაფრედას შვილი ტერ ზაქარა დავითის შვილი ელიზბარ სუდადას შვილი პაპინა წაჭურას შვილი პაპინა ტერ ხეჩატურას შვილი ტერ მაველა მე შერმაზანს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი ეკს. ტღგ მარტის ა.

სახელითა სხიერისა არსება დაუსაბამოსა ღვთისა მამისა ღვთისა ძისა და ღვთისა სულისა წმინდისა მე ჰქმნარტი სული ცხოველის მამისაგან გამოსული უხილავ უსაზღვრო მიუწდომელი ძალი განუზომელი შეწოდებელი ცათა და ქვეყანისა თავდებობითა მინდობითა შუამდგომლობითა და მოწამეობითა ღვთისა და მეოხებითა უმეტესად კურთხეულისა და ზეშთა აღმატებულისა დიდებულისა დედოფლისა ჩვენისა ღვთის მწობელისა მარადის ქალწულისა მარიამისათა თავდებობითა მინდობითა და შუამდგომლობითა წმინდა ზეცისათა ძალთა ანგელოზთა და მთავარ ანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა და ცხრათავე დასთა ანგელოზთა ოხითა და მეოხებითა და ძლიერებითა პატრიარქისა და ცხოველს მყოფელისა ჯვარისადა რომელსა ზედა განიპყრნა უხრწნელი მკლავნი თვისნი ხსნისათვის ჩვენისა თავდებობითა მინდობითა და შუამდგომლობითა წმინდათა თავთა მოციქულთა პეტრე სამოთეს მპყრობელისა და პავლე რომელსა ესმეს უსმენელი სიტყვანი თავდებობითა მინდობითა და შუამდგომლობითა წმინდისა წინასწარმეტყველისა წინამორბედსა ნათლის მცემლისა იოანესითა და იოვან ქალწულ მახარებლისათა და ღვთის მეტყველისადა თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა ღვაწლით შემოსილისა უძლიერებისა წმინდისა გიორგის გორჯუტრისათა თავდებობითა და შუამდგომლობითა მამათ მამისა საბასათა, თავდებობითა და შუამდგომლობითა ყოველთა წმინდათა ხორციელთა და უხორცოთა რომლისაკენითგან სათნო გეყენეს და კვლადცა სათნო ყოფად არიან ამითთა მოწმობითა და შუამდგომლობითა მოგვეც ესე ნასყიდობისა წიგნი და სიგელი დრო მოუღწევარი მიზეზი შემოუღებელი ყოველის კაცისაგან მოუღვე ვარ მოუსარ-

ჩილული მე წაჭურაშვილმა როსტომამა და ჩემმა შვილმა გიორგი გოდერძიმა და გიგმა მოგყვდით მიწა გორდა მალაში ცხრის დღისა გაპარჯებულნი, რომელსაც მხარეს გერჩიოს შენ ბოლიტიშვილმა აღუესა და შეილსა შენსა ივანეს დათუნასა პავლესა და თევდორესა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე და ავიღეთ ფასი სრული და უღებელი რითიცა ჩვენი გული შესჯერდებოდა და აღარა დაჩრა რა ჩვენსა და თქვენშია სასარჩლო და სალაპარაკო არიან ამისნი მოწამენი და გარდამწყვეტელნი და ამხდურნი ახარბევიშვილი ამისეთ და მისნი შვილნი გოგიაშვილი დემეტრე მამასახლისი და მისი ძმა მამის იმელიშვილი.

შეღწახუნა

მომზორზე რომ ხატი უპოენით იმისი ნუსხა, ესე ხატი გარეჯისა არის.

«უდიდებულესო ნაშობთა დედათასა ქრისტეო ნათლის მცემლო დღეგრძელობით და კეთილად დაიცუვევენ ორთა შინა ცხოვრებათა მეფეთ მეფე ალექსანდრე და დედოფალთა დედოფალი თინათინ ამინ.»

წინამორბედად ქადაგ სინანულისა და უზესთავს ნაშობთასა წოდებულო ჰა იოან ქრისტესა ნათლის მცემლო რომელმან ესე შეამკო სახე შენი მეფე შეამკვე დიდებითა ალექსანდრე».

ნაწერია მსხვილი ასომთავრულითა ხელოვნურად ხატს ოც-და-სამი ფირუზი უზის მსხვილი და წვრილი თერამეტი იაგუნდი მსხვილი და წვრილი. ნათლისმცემლის თავსა აქვს მოვლებული ორი წვრილი ფირუზი ორი წვრილი იაგუნდი და სამი წვრილი მარგალიტი. უკანიდგან ვერცხლით არის მოჭედლილი და ოქროთ დაფერილი, რომელსა შანა არიან ოთხნი ჩინებული ნაწილი. წინადან არის ერთიანად ოქროდ მოჭედლილი უცხოხ ხელოვნებით. ყოველად სამღვდლო მეუფეო ბრძანებისაებრ თქვენისა უმონებრივესითა კრძალულებითა გავებდავ მოხსენებთა.

უღიწისა კრდააკონი დიმიტრა.

ქვათახევის ღვთისმშობლის ხატზედ:

1695 წ. ზი ღრუბელი ნათლისაო და კიღ-
ბანო სჯულისაო მაცვალო შეუწველო, რომელი
გიხილა მოსე ჩვენ ცვა ფარვად ფრთეთა თქვენთა
ქვეშე მოლტოლეილმან დიდისა და სახელოვნისა
მეფის 12 გიორგის თანა მემცხედრემან, სამის სა-
ხელმწიფოს სარდლის მიქელაძის ასულმან დედო-
ფალმან პატრინმან ხუარაშან, ვინებე შემკობა შენი
ყოველთა შემამკობელი სასოებაო ჩვენო ქვათახევისა
ღვთისმშობელი, რომელი გიხილე ავაზაკთაგან გან-
ძურციელი პირველ და აწ მეორედ ჩვენ შეგამკეთ
პატიონსად, რათა შემწე გვეყო წინაშე ძისა შენისა
და მეუფისა ჩვენისა.

მღეს გამკობდი, მას ჟამსა მოიწია ჩვენ ზედა
განჩინებული სიკვდილი და ცანსელა უხანოსა სოფ-
ლის. აღვესრულე და არის სამარხო და განსასვენე-
ბელი ჩვენი წინაშე შენსა დედაო ნათლისაო, შენ
შემწე მეყავ. ადამის აქეთ შეიდი ათას ორას სამსა:
ქორონიკოსა ტპზ.

აღვესრულე თებერვლის ძდ-სა ღღეს კვირია-
კესა ჟამსა პირველსა. მოიხსენე უფალო ხელოვანი
გიორგი.

ბიბლიკურისა.

ზორი: ჯვრის დეკანოზს იოსებს მიერთავს უმ-
ღაბლესად.

ასო მთავრულად ლურჯ ქალაღღზედ სწერია:
მ. მოწამეთა 1) შორის და უფალო ვარსკელა-
ვო, კერბთა შემმოუსერელი და მოწამეთა დიღო
ლმობო ტანისა და ძელთა ჩემთა ბრძველნი განმი-
კურნე მე მეფესა აღექსანდრეს რომელთა ვინებით
ხატთა თქვენთა მოქედა:

ჩვენ ღვთიე გვირგვინოსანმან მეფეთ მეფემან
პატრონმან აღექსანდრე ვიგო-ულეთ 2) თანაშეწვე-
ნითა შენ ძლიერსა და ახოვანსა და ღვეწლ მრავ-
ლისა წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისათა და
მოვაქედინეთ ხატი მზვავსებისა თქვენისი თაყუანი-
საცემლად და საღიდებელად და დაგისვენეთ გორის

1) პირველი ასოები აკლია, დაჩხენილია მხოლოდ...
«წამეთა».

2) შემმოუსერელი = შემოუსერელი; კიგო ულეთ = კი-
გულეთ.

ჯვარს პატარასა შინა შენსა რათა განკურნო ჩემ
შორისასა ამის ზორციელისა სალომობისა და მოხ
მოსელასა მას მისსა ღიდებთა რომლისათვის წამა 3)
ახოვანებამან შენმან».

ქვეშე მოწერილია: «თანასწორ ვადაღებულ არს».
თარიღი არ არის.

დიმიტრი...

«ი მ მ რ ი ა ს».

«ივერიის» რედაქციას
ზნედ სჭირს ერთი ჩვეულება:
ხშირად იცის მოლასებთა
მწერლებისა წვეულება.

ხშირათ უკვარს კაცის კიცხვა
მიდგომით და ორპირულად,
მაგრამ თვითონ კი ვერა გრძნობს
და სთვლის მხოლოდ «სატირულად».

სხვის თვალში რომ ბეწვი ნახოს,
შემოგთიცავს — დვირეაო,
და თვისს თვალში დვირეცა კი
ჭკონია რომ წვილიაო.

რაჭველების მღვდელს და ერსა
ხოტბა სტყუორცნა და განგმირა, *)
სხვისი ჭუჭუი ჩვენს ერს მოსცნო,
განა იყო ის სატირა?!

შევნიშნეთ და შეგვაწუსა,
მივიმჩნიეთ ასატირად,
მაგრამ სწერდა «ივერია»,
არ ჩავთვალეთ გასაკვირად.

3) წამა ე. ი. აწამა.
მეფე აღექსანდრე იყო სამოც-და-მეჩვიდმეტე მეფე-
მან იმეფა 28 წელი, კარდაიცვალა 1442 წ. ქკს 130.
ამ მეფე აღექსანდრემ გაჭეო საქართველო სამ სამეფოდ
და სუთ სამთემკრად. ეს ზედა წაწერა გაროჯვრის წმ.
გიორგისა გადმოღებულა 1799 წ., როგორც შეგვი-
ძლიან დაუსკნათ შემდეგ მიწერითგან: «მეფის აღექსან-
დრეს გარდაცვალებიდან იქმნება აქამომდე წელი სამას
სამოც-და-მეჩვიდმეტე გასული. დიმიტრი». 377+1422
(მ. აღექსანდრეს სიკედილი) = 1799 წ.

*) იხილე «ივერია» № 166.

უცხო გაზეთს გადუბეჭდავს
ჩვენად საციცხ-სამარცხვინოდ,
«ივერიის» კი ეს დახმდება
მიაჩნია ხომ სადღისინოდ!

ვისურვებთ, რომ «ივერიის»
ადარ სჭირდეს ეს სატკივრად:
ორთა ძმათა ფრონელთაგან
მუდამ არ სდგეს მამლებრ მკივრად.

რაუდენ საჯაონელი.

«ივერიის» არჩილურ შვილთაჲის მიზაჲმა.

I

ნაქებია ქართულ ლექსში,
იაღბუზზე დაგსევამს ენით.
პარგი რამ ჰქნა მეკრელთ ბანკის
მნოლიას დაარსებით:
ლარს ინახავს გამბურგშია
მტტონ მეფის სახელზედა,
ზარს ცემს ხშირად ნაცნობთ ჯიბეს,
სხეებსაც ანცმევს ანკესზედა...
დროზედ იცის დაბალის თქმა,
ამაღლებს, როს სხვა ყუნჩობს,
დინაშხოსა რიყედ გასცემს,
იქ თავს იქებს, სად სხვა მუნჯობს;
ალექსანდრეს ჰკითხეთ გორში,
ნდობა ჰქონდა მას ვისაგან —
სთქვას, თუ «ღმერთმა აწ დაგვიხსნას
ამ გვარისა ბრძენისაგან!»

II

ხურდა-მურდა მჩხაბნელებში
მლონდაცა პირველია,
ნიჭთ მოკლებულთ ლეგიონში
მს ეარსკელაეთა მრიცხველია;
ლაქს ჰორისას მარჯვედ ხმარობს,
იმას მოსდგამს ეს ზნე სრულად;
ილიანძღება, ხან მასხარობს,
ლექსებს ჰწაპნის სხეებს ქურდულად;
ითავსება, ვაჰ იმ მშობელს,
ამ გვარ შვილით ვინცა სრულად.

თ. გ—ქ.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ადგილობრივი გაზეთებისაგან გაგრცელებული
ხმები, ვითომც თბილისის სასულიერო სემინარიის
რექტორად დანიშნულია ბერ-მონაზონი ფილარეტ
ნიკოლსკი, რომელსაც წელს დაუმთავრებია სწავლა
პეტერბურგის აკადემიაში, ტყუილია. ჩვენ წინეთაც
გამოაცხადეთ და ეხლა უწმიდესი სინოდისაგანაც
გამოცხადებულია, რომ ამ ადგილზე დანიშნულია
მოგილვეის სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი ტი-
ხონი. ამავე სემინარიიდან იყო გადმოყვანილი თბი-
ლისის სემინარიის რექტორად ნამყოფი არქიმანდრი-
ტი ნიკოლოზი.

*
* *

აგრეთვე ტყუილია ადგილობრივი გაზეთებისა-
გან გაგრცელებული ხმა, ვითომც კიევის და გალი-
ციის აწ განსვენებული მიტროპოლიტის ადგილზე
უკვე დანიშნა საქართველოს ექსარხოსი პალლადიო.
ამ საქმის შესახებ ჯერეთ კიდევ არავითარიმე გან-
კარგულება არ მომხდარა უმაღლესად, თუმცა არც
დიდი საეჭვო არის, რომ ეს ადგილი მიეცემა მასს.
სწორედ სასაცილოა ზოგიერთი გაზეთებისაგან
ასე დაბეჯითებით ცრუ ხმების გაგრცელება.
გაზეთები, ალბად ცდილობენ, რომ გაზეთის გვერ-
დი გავესონ, და იმისი დარდი არ აწუხებთ, მართა-
ლი იქნება ეს ამბები, თუ არა.

*
* *

უწმიდესი სინოდის განკარგულებით იმერეთის
და გურია-სამეგრელოს ეპარქიებში უნდა გახსნილი-
ყო ოთხი თითო კლასიანი და ორი ორ-ორ კლა-
სიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლები. ამ სკოლე-
ბის შესაანახად გამოთხოვილი იყო 1800 მანეთი,
რომელიც უკვე იქმნა გარდაწყვეტილი. ამ ფულები-
დამ იმერეთის ეპარქიას ერგებოდა 900 მანეთი. მაგ-
რამ, სამწუხაროდ, ამ ფულების შესახებ ისეა კითხვა

დაყენებული თბილისის სემინარიის ნამყოფი რექტორის მამა არქიმანდრიტის ნიკოლოზისაგან, რომ 900 მანეთის ნაცვლად, შეიძლება, იმერეთის ეპარქიას ხედეს მარტო 600 მანეთი. ფიქრობენ 1600 მ. მონაწილეობა დაუღვენ სოხუმის ეპარქიასაც...

* *

«მწყემსი»-ს რედაქცია, დიდი ხანია ცდილობს, რომ ჩვენში საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმე გადვილებულიყო. ამიტომ რედაქციას სურდა მოაზრებული ყოფილიყო ყველა ყალიბი ხუცური ასოებისა, რომლებითაც იბეჭდებოდა ჩვენი საეკლესიო წიგნები უწინდელს დროში.

როცა უწინდესი სინოდი ბეჭდავდა ჩვენ საეკლესიო წიგნებს, იგი მარტო თორმეტი ნომრის ასოებს ხმარობდა. ათი ნომრის ასოების ნაცვლად ხმარობდა იმავე ნომრის ასოებს, მაგრამ სინგურით (წითელი ასოებით) ჰბეჭდავდა. ამ სინგურის ასოებით ბეჭდვა მეტად აძვირებდა საეკლესიო წიგნებს. ამისათვის «მწყემსი»-ს რედაქციამ შეუკვეთა ლიბცეტში მე-10 ნომრის ხუცური ასოების ჩამოსახსნელი ყალიბები (матрицы). ამ ახალი ასოებით დაბეჭდილს ნიმუშს წაიკითხავს მკითხველი ამ ნომერშივე. სწორეთ ესეთი ასოებით იბეჭდებოდა ჩვენი საეკლესიო წიგნები იმერეთის მეფის სოლომონ პირველის დროს.

* *

სამეგრელოს სამღვდლოების დეპუტატთა კრება დანიშნულია ახალ-სენაკში ამა ოქტომბრის 18. კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ხარჯთა აღრიცხვა და სხვა კითხვები ამ სასწავლებლის შესახებ.

* *

მღვდლის მ. ბესარიონ კელეჯარიძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«მ. რედაქტორო! სასიხარულო მოვლენად მიმაჩნია, რომ რწმუნებული ჩემდამო ტაბაკინის წმიდის გიორგის ეკლესიის მრევლი ამ ჟამად დიდ ყურადღებას აქცევს თავანთ, ახლად აღშენებულ ეკლესიის შემკობას; თითოეული მათგანი სულითა და გულით მეცადინობს თავის სახელზედ, ანუ რომელიმე თავის გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლად რაიმე ნიუთა შესწირას ეკლესიას. ამას

წინათაც იყო «მწყემსში» გამოცხადებული ზემო აღნიშნულის ეკლესიის შემწირველთა სია და ამ ბოლო დროსაც თან-და-თან ჩნდებიან მათი მიმბადველნი. აი მაგალითად: მქერიემა დავით მახარობლის ძის ფერადისა თინათინ ჩუბინიძის ასულმა შემოსწირა ერთი გარდამოხსნა, ღირებული 43 მ.; მქერიემა ბაღდინე ნიკაჭაძემ გორგაძის ასულმა—ბარდიმ-ფენხუმი, კამარა, კოეზი, ლახვარი, განსახავებელი, დაფარები და ერთი სამირონე ხის კოლოფი თავის გაწყობილებით, ღირებული 23 მ., თებრონია ჟღენტის ასულმა—ერთი ჯვარცმის ხატი, ტილოზე დახატული რამკაში ჩაჯენილი—10 მ., იოსებ ივანეს ძე ნიკაჭაძემ 10 მ. ფულად და მქერიემა ანნა კლდიაშვილის ასულმა ერთი პატარა კანკელი—6 მ. და 50 კ., ამისთანავე სოფ. საჯავახოს მცხოვრებმა იოსებ ს. ძნელაძემ შემოსწირა ერთი წყვილი ბაირალი თავის გაწყობილობით, ღირებული—50 მან.

ზემო ხსენებულ პირთ და განსაკუთრებით იოსებ ძნელაძეს თქვენის გაზეთის შუამდგომლობით, გულითად მადლობას ვუძღვნი როგორც მე, ისე მთელი ჩემი მრევლი და იმედი მაქვს, რომ ამ ღვთის მოყვარე პირთ კიდევ აღმოუჩნდებიან მიმბადველნი».

* *

მღვდლის იოანე სალაძისაგან ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი წერილი:

«მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომელთაც სხვა-და-სხვა საეკლესიო ნივთები შესწირეს ჩემდამო რწმუნებულს ტელეფის ეკლესიას და მასთან გთხოვთ დამიბეჭდოთ შემწირველ პირთა სიაც». გლენბმა თედორე ღობრაძემ და მისმა მეუღლამ შესწირეს ერთი რწყვილი ბაირახი და ერთი დიდი შანდალი, ღირებული 35 მ.; აზ. ალათი არეშიძემ ფრაქის სანაწილე, ღირებული 30 მ.; გლენბმა ნიკ. ზარნაძემ თავის ხარჯით მოქედა წმ. გიორგის ხატი, რაზედაც დაინარჯა 40 მ.; ევასანი არეშიძემ თავის ხარჯით შეამკო სახარება; ანნა შოთაძემ შემოსწირა გვირგვინები, ღირებული 8 მ.; ელუკია ღობრაძემ—ერთი სტოლი თავისი ვადასაფარებელით და ერთი შანდალი, ღირებული 6 მან.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საწმენოებასა და კეთილ-ზნეობაზედ.

საუბარი მრევლის ძღველისა ეკლესიის მნიშვნელობასე.

ძლიერ მოხარული ვარ, ძმანო, როდესაც ეხე-
დავ ეკლესიაში სალოცავად მიმავალს ხალხს. სწო-
რედ ძლიერ სასიამოვნო და ღირს-საქები საქმე არის
ამ გვარი გულსმოდგინება მართლ-მადიდებელი
ერისა. და რომ ქრისტიანეთა ეკლესიაში ამ გვარი
მსვლელობა სასარგებლო იქნეს, რომ მათმა ლოც-
ვამ სულიერი ნაყოფი გამოიღოს, საჭაროა ცოდნა
იმა მართებულის წესიერებისა, რომელსაც მოით-
ხოვს ჩვენგნით ეკლესია. და რა წესიერება მოით-
ხოვება ხვენგან, ამას ჩვენ ადვილად გავიგებთ, თუპც
დავაკვირდებით და ჯეროვანს ყურადღებას მივაქცევთ
ეკლესიის მნიშვნელობას.

ეკლესია არის სახლი ღეთისა—საზოგადო სამ-
ლოცველო. ეკლესიაში, უხილავად თვალთა ჩვენთა,
სუფევს უფალი; ეკლესიაში იწირება უსისხლო
მსხვერპლი, ტაძარში გვეყანან მეოხად კრებულნი
წმიდათანი.

აბა დააკვირდით ამა ეკლესიის წმიდა კან-
კელს. აგერ აღსაყლის კარის მარცხნივ ასვენია ხა-
ტი ცოდვილთა მფარველის ყოვლად წმიდა ღუთის
მშობლისა. კანკელის ზემოთ, სადაც კანდელი ანთია,
თქვენ შენიშნავთ მთელს რაზმს ღეთის სათნო მყო-
ფელთა, ჩვენთვის მლოცველთა და მსწრაფლ შემ-
წეთა სულთა ჩვენთასა.

ეკლესია შეადგენს ჩვენთვის სულიერს სამკურ-
ნალოს. ცოდვითა შინა ვიშვებით და უსჯულოებე-
თა შინა მიდგომილ ვართ; წმიდა მართლ-მადიდე-
ბელი ეკლესია აკენიღანვე შეუდგება ხალხე ჩვენი
ცოდვების კურნებას, მაგალითად: წმიდა საიდუმლო
ნათლის ღებით იგი გებანს ჩვენ პირმშო ცოდვისა-
გან, საიდუმლო მირონ-ცხებით ამტკიცებს ჩვენზე
სულის წმიდის ნიჭთა, მთელს ჩვენს სიცოცხლეში
იგი გვასაზრდოებს წმიდის საიდუმლო ზიარებით და

ქრისტეს მსახურთა ლოცვა-კურთხევით ჰკურნებს
ჩვენის ცოდვების წყლულთა.

როდესაც რაიმე სენისაგან ლოგინზე დაგდე-
ბულთ აღარ ძალგვიძს სიარული ეკლესიაში, მაშინ
იგი თვით ჩვენს სარეცელთან გვიგზავნის თავის მო-
სამსახურე პირთ ზეთის საკურთხად, ანუ სასიკედინო
ზიარებისათვის.

სიკვილის შემდეგ, როდესაც ჩვენ ყველას და-
ვაიწყდებით და ამ ქვეყნად ჩვენს სახელს აღარ ექ-
ნება ხსენება, ეახსოვართ მხოლოდ ეკლესიას და
ლოცვილობს იგი ჩვენი ცოდვების მოტევებისათვის.

შრიად მოწყალე არის ჩვენ ცოდვილთათვის
ღედა მართლ-მადიდებელი ეკლესია! წარმოიდგი-
ნეთ, რომ სიკვილის შემდეგ ვაიწყდებით ყველას:
მამას, ღედას, ცოლ-შვილს და ნათესავებსაც. მარტო
ეახსოვართ წმიდა ეკლესიას და იგი უკუწისამდე
არ გვივიწყებს ჩვენ.

ამის შემდეგ როგორ არ უნდა ვიყენეთ, ძმა-
ნო, კეთილ მორწმუნენი წმიდისა ეკლესიისა, რო-
გორ არ გვიყვარდეს ჩვენ იგი და ამ გვარ მისდამი სიყვა-
რულს როგორ არ უნდა ვამტკიცებდეთ, რაც შეიძლე-
ბა, ტაძარში ხშირის და მართებულის მსვლელობით?
მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ვთქვათ, რომ ბევრნი
არიან იმისთანა ქრისტიანენი, რომელთაც ეკლესიაში
სიარული სიკვილივით ეზარებათ და წმიდის ღეთის
მსახურების დროს ჰკარგვენ ლოთობასა და გარყენი-
ლებაში; მათს დაბნელებულ სინიდისს არ აღვიძებს:
არც ღედსაწაუჯლის ზარის რეკა, არც დარიგება
მოდღერისა და არც მაგალითი ეკლესიაში მიმავალ
ძმათა

ნუ მიბაძავთ, ძმანო, ამ გვარ ქრისტიანებს.
მათგან თქვენ ვერასფერ კეთილს ვერ ისწავლით
გაოდა სიზარმაცისა, ნაყოფანებისა და უძღებლო-
ბისა. რაც შეიძლება ხშირად იარეთ ეკლესიაში.
კვირა-უქმ ღდეებში გავგონებისათანავე პირველას ზა-
რის ხმისა გავჩურეთ სალოცავად. ლოცვის დროს
განიშორეთ გულიდამ ყოველივე ქვეყნიური ამაო
გულის თქმანი, იდეკით ჩუმთ, კრძალვით და მო-
რიდებით. ნურც ვისმე დაელაპარაკებით და ნურც
არავის ლაპარაკს ყურს უდგებთ. დამდაბლებულის
თვალთ, მუხლ-მოყრილი და ხელებ აპყობილი
მზურვალეს გულათ ევედრეთ ღმერთს თქვენი ცხოვ-
ნებისათვის, რომ თქვენის კეთილის მაგალითით მორ-
ბილდენ გულნი გარეწართა და თქვენთან ერთად
ისინიც გახდნენ ღირსნი ღუთის მადლით. ამინ.

მღვდელი მისკელ გავაქალაკი.

გ ა ნ ც ხ ა ლ მ ბ ა ნ ი.

სამკურნალო

ს. ბ. თოფურია

ამოცემელთა ავითმყოფთათვის



მუდმივ საწოლებით ქ. ქუთაისში.

აქადმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის ათი საათიდან სამ საათამდის: შინაგანი და ვაჭაყალების ავადმყოფებს მიიღებს ს. ბ. თოფურია. ხარკუნი, გულისა, გუნერაულისა და სიფილისის ავადმყოფობისათვის ს. ბ. თოფურია. საბუბო და ქალის ავადმყოფობისათვის — ექიმი — ქალი მ. შ. კალანი. თვალებით ავადმყოფებს კი მიიღებენ დილის თერთმეტი საათიდან ორ საათამდის

სამკურნალოსთან იქნება გამართული კაბინეთი ავადმყოფთა დასაზღვრად (მასაჟისათვის) ექიმების ხელმძღვანელობით და კაბინეთი შარდისა და ნახევის გამოსაკვლევად.

შასი ექიმობისა თითოეულ ნახევარს ათი შაურია. პონსილიუმი (რჩევა), რომელიც შესდგება სამკურნალოს ყველა ექიმებისაგან, ელირება მ მანერი შარდის თვისებათა გამოკვლევა — ერთი მანეთი; შარდის გამოკვლევა რაოდენობის მხრით — სამი მანეთი; მიკროსკოპით გამოკვლევა ნახევისა — ორი მანეთი; დაზღვრისა (მასაჟის), აგრეთვე საავადმყოფოში დაწოლისა და მოვლის ფასი — გარიგებით იქმნება. გადამდები ავადმყოფობით სწეულებს საავადმყოფოში დასაწოლად არ მიიღებენ.

მომსვლელ ავადმყოფებს მიიღებენ პირველ ნოემბრამდის ბოკერის სახლებში, ბულვარის პირდაპირ და მუდმივი ჰეგემაგებთან საწოლიანი სამკურნალო იქნება ბალახანის ქუჩაზედ, სტეფანოვის სახლში; ხოლო პირველ ნოემბრადგან მომსვლელ ავადმყოფებს მიიღებენ სტეფანოვის სახლში და მუდმივი საწოლიანი სამკურნალო იქნება ს. ბ. თოფურიას საკუთარ სახლში, გავარინის ქუჩის შესახვევში, სომხების ეკლესიის მახლობლად.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.

გამოვიდა და ისუილება
«ქართველთა ამხანაგობის»

წიგნის მაღაზიაში:

პირველი სამი ტომი

წიგნების მაღაზია

(ა. მოხსუბარიძის).

თხზულებისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი.

ფასი ცალკე თითო ტომისა — — 1 მ. 20 კ.
მწიგნიერის ყდით საუკ. ქალ. თითო ტომი 2 მ. 50 კ.
ხოლო სამივე ტომი ერთად — — 7 მ. »

ამ ტომებში მოთავსებულია შემდეგი მოთხრობები: ელგუჯა, ციკო, ელისო, მამის მკვლელი, განციცხული, მოძღვარი და ციცი, და სულ სამივე ტომი შეიცავს ერთად 1400 გვერდს.

წიგნები ისუილება აგრეთვე «ქართველთა ამხანაგობის» აგენტებთან: სოხუმი — ფილიპე ერქომაიშვილი, ბათომში — ბესარიონ კალანდაძე, ფოთში — კონსტანტინე ნოდია (წიგნის მაღაზია), ოსურკეთში — კონსტ. თავართქილაძე და მამინაშვილი (წიგნის მაღაზია), ქუთაისში — ძმ. წერეთლები (წიგნის მაღაზია), დ. ზესტაფონში — რს. კაკაბაძე, ძირულაში — ილია ჭიჭინაძე, ბუჯაბუხში — ადრ. შაფათაია, საშურში — იოს. ფანცულაია, ასაღვსეში — ნიკ. ასათიანი, გარში — არს. კალანდაძე (წიგნის მაღაზია), განჯაში — იაკ. ნოდია, თელავში — მიხ. ცისკარაშვილი, სამტრედიისში — გოდერძიშვილი და სუფსაში — ნიკ. იოსელიანი.

შინაარსი: ოფიც. ნაწილი: უმღლესი მანიფესტი. — განკარგულებანი უწმადესი სინოდისა. — არს ოფიც. ნაწილი: საქართველოს ძველი ტაძრები და მათი მნიშვნელობა. — კიევის და ვალაჩის მიტროპოლიტი მლატონი (ნეკროლოგი). — შარაქის ასლად აღშენებული ეკლესია ქრისტეს გულის სახელზედ. — აღ. ვაზუკის (მოხსუბარიძის) შესახებ. — საისტორიო მასალა. (გუჯრები). — «იკრას». — «იკრას»-ის არხილურ-შვიდთავის მიაბაჟა. — ასალი ამბები და შენიშვნები. — სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობაზედ სარწმუნოებასა და კეთილშენებაზედ: საუბარი მრევლის მღვდლისა ეკლესიის მნიშვნელობაზედ. — განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. დაბაშიძე. *Лоз. цензурою. Кутаисъ, 14 Октября 1891 г.*

Типография редакции (Ш. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣш. въ домѣ бр. Лавановыхъ на Нѣмецкой ул.